ზარზმა - წმინდა სავანე

ჩვენ ზარზმაში ვაპირებდით წასვლას. გამახსენდა, რომ აბასთუმანში ტაძრის მოსახატად ჩამოსული მიხეილ ნესტეროვიც, ჩამოვიდა თუ არა, ზარზმას გაემგზავრა (მართალია, ეს 1899 წელს იყო). “მე გადმომცეს, რომ დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე ახლა მასთან ერთად ზარზმას წასვლას მთავაზობს. სწრაფად მოვემზადე, სასახლეში გამოვცხადდი". ისტორიის მცოდნე, საქართველოში დაბადებული დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე, რომელსაც აინტერესებდა ეს ადგილები და რომელიც კარგადაც იცნობდა მათ - ტახტის მემკვიდრის, გიორგი ალექსანდრეს ძის ბიძა და შემოგარენის შემოვლისას მისი მუდმივი თანამგზავრი იყო.

მაშ ასე, “...ცხენები მოგვიყვანეს… და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე აბასთუმანში მიმოვდიოდით".

ჩვენ კი “ოპელი” მოგვიყვანეს და დილის სუსხისგან მობუზულებმა აუჩქარებლად დავტოვეთ დაბა და კლდოვან მთებში მომწყვდეულ მდინარე ოცხეს დავუყევით.

საუცხოო ამინდი იდგა, ზარზმამდე ორი ნაბიჯია - ორმოციოდე კილომეტრი - იმავე ადიგენის რაიონში, სადაც აბასთუმანია.

კომპანიაც დიდებული იყო: არქიმანდრიტი მამა მაქსიმე - 1898 წელს ტახტის მემკვიდრის, გიორგის მიერ აგებული აბასთუმნის ტაძრის წინამძღვარი, “პავლოვიჩი”, გულითადი ადამიანი, რომელიც მუდამ მზად იყო ნებისმიერ ადგილზე წაეყვანა მამა მაქსიმეს სტუმრები, და მისი პატარა შვილიშვილი ილიკო. ჩემი ინსტიტუტის მეგობარი, რომელთან ერთადაც ლენინგრადში ვსწავლობდი, მურმანსკიდან ჩამოვიდა საქართველოში და მე ის აბასთუმანში წავიყვანე.

ზარზმაში! - და ჩვენ ზარზმაში მივდივართ. “ჩვენს მხარეს რომ ათვალიერებდა - დრო რომ არ დაეკარგა, მანქანაშივე დაიწყო მოყოლა მღვდელმა, - ტახტის მემკვიდრე ზარზმასაც ეწვია. ტაძრის სილამაზემ შეძრა გიორგი ალექსანდრეს ძე და მან გადაწყვიტა ასეთივე აეშენებინა აბასთუმანში, სადაც თავად ცხოვრობდა. მაგრამ ზუსტი ასლი არ გამოვიდა. ალექსანდრე ნეველის ტაძარი ზომით ზარზმაზე ოდნავ პატარაა და ამიტომაც მას შეარქვეს “პატარა ზარზმა აბასთუმანში”. ისე კი ყველაფრით ჰგავს. თავადვე ნახავთ".

მე ზარზმაში პირველად 1990-იან წლებში მოვხვდი. ერთი პროექტის ფარგლებში დავდიოდით მესხეთში და საკულტო ნაგებობების ფოტოებს ვიღებდით. სამუშაოს მოცულობა დიდი იყო, ვადები - შემჭიდროებული, ნატურის, ამინდის “დაჭერას” ვეშურებოდით და ძალიან ვჩქარობდით. მაგრამ უეცრად ზარზმაში დარჩენა მოგვინდა. არაჩვეულებრივი აურა ვიგრძენი. კონცენტრირებული სულიერების რაღაცნაირი შეგრძნება გამიჩნდა. მინდოდა უბრალოდ დამეყო სიმშვიდის, ჰარმონიის ამ ატმოსფეროში, ირგვლივ რომ სუფევდა და უხილავად გადმოდიოდა შენს სულზე. დანანებით დავტოვე იქაურობა. მახსოვს, მოვდიოდი და სულ უკან-უკან ვიყურებოდი.

მაინც რა იყო იქ ისეთი განსაკუთრებული? არც არაფერი. ნანგრევები, ნახევრადბნელი ეკლესია. ვთქვათ, ქვაბლიანის ხეობის ლამაზი ხედი - კი, ბატონო. მაგრამ ბუნებრივი სილამაზე ჩვენთან, მესხეთში ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა.

არა, იქ რაღაც განსაკუთრებული რამ იყო - დალოცვილობა. მე საოცრად მოხიბლული გამოვედი იქიდან. იქნებ ტახ-

მამა სპირიდონი

ტის მემკვიდრემაც იგივე იგრძნო ასზე მეტი წლის წინ - მისი თანამედროვენი ხომ ირწმუნებიან: დახვეწილი სულის ადამიანი იყო.

ზარზმა IX საუკუნეში იწყებოდა. "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" (X საუკუნის ჰაგიოგრაფიული თხზულება) მოთხრობილია, რომ კლარჯელ წმინდა მიქელ პარეხელს ღამეული ჩვენება ჰქონია: "გაეგზავნა სამცხის ქვეყანას თვისი მიმდევარნი სერაპიონი და იოანე", ამასთან მითითებული იყო ადგილი, სადაც მათ მონასტერი უნდა აეგოთ.

მთაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ვიღაც უკეთურმა ადამიანებმა გააჩერეს ისინი და მათი განდევნა სცადეს, მაშინ სერაპიონმა თავის გამომგზავნელთა ძალა უჩვენა - სასწაული მოახდინა: მიწა იძრა, კლდე გასკდა და გადმოდინდა მღვრიე წყალი და თითქმის მთელი სოფელი მოლეკა. "ადგილმა მან მიიღო შესაბამისი სახელი ზარზმა - იმ დიდი შიშისაგან, ხალხი რომ მოიცვა".

ეკლესიის ასაგებად ადგილი რომ იპოვეს, სერაპიონმა და მისმა ძმამ "საძირკველი ჩაყარეს".

იმ ადგილთა მბრძანებელმა და პატრონმა მდიდარმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, ბერებს რომ შეხვდა, ჰკითხა მათ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ მის მიწაზე.

სერაპიონმა მიუგო, რომ აქ უნდა ყოფილიყო მონასტერი ღვთის მოყვარულ სულთა შესაკრებელად და რომ ასეთი იყო ღვთის ნება. მთავარი მხოლოდ ღვთის მოშიში კი არა, გულუხვიც აღმოჩნდა: მან ბერებისათვის საკუთარი მამულების ბოძება ისურვა. "მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა ჰასაკითა, რომელ არს ძალითა და ჰრქუა: "შვილო საყვარელო, გზა ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოვლიან, მიმიცემიეს მათდა ვინაითგან ადგილსა ამას წადიერ არიან..."

ბერები დილიდან შეუდგნენ მთავრის მიწების შემოვლას, მაგრამ საღამომდე დაბრუნებას ვეღარ ასწრებდნენ და მაშინ მოხდა კიდევ ერთი სასწაული: მონასტერში მათ დაბრუნებამდე "მზე იდგა თავის ადგილზე წმინდანის სიტყვის შესაბამისად".

სამი წლის მიწურულს ეკლესიის მშენებლობა დამთავრდა, ფერისცვალების ცხოველმყოფელი ხატი დაასვენეს, შემდგომში კი ბერებისთვის სენაკების შენება დაიწყეს. მონასტერი იზრდებოდა, და უდაბურ ადგილზე გაჩნდა ქართული ქრისტიანული კულტურის ახალი კერა.

ხუროთმოძღვარ გარბანელის მიერ IX საუკუნეში აგებულ უძველეს ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია, მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი. სადღეისოდ ეს არის კოშკურა ეკლესია და რამდენიმე სამლოცველო.

ამჟამინდელი ზარზმის მონასტერი XIV საუკუნის დამდეგს, ბექა მანდატურთუხუცესის მმართველობისას არის აგებული. მონასტერი ჯვარგუმბათოვანი ეკლესიისა და დიდი სამრეკლოსგან შედგება. მის ასაგებად სხვადასხვა ფერის ქვები იქნა გამოყენებული, რაც აძლიერებს ფასადის დეკორატიულობას. ნაირფერი ფასადი შორიდანვე საზეიმოდ ესალმება მონასტრამდე არმისულ ადამიანს.

ეკლესიის კედლების დამამშვენებელი ფრესკებიც XIV საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

1577 წელს ზარზმის ახალმა მფლობელებმა - თავადმა ხურციძეებმა - ძველი ფერწერის ნაწილი ახლით შეცვალეს, ამოაშენეს თაღები სამრეკლოს პირველ სართულზე და იოანე მახარებლის ეკლესიად გადააქციეს იგი.

ზარზმა ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთ კერად იქცა. მაგალითად, აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები გერმანე ზარზმელი და ბენედიქტე ზარზმელი. სამწუხაროდ, მათი შრომები დაკარგულია, მაგრამ ბერების ვარაუდით ძიების კვალს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმამდე - ლონდონის ბრიტანულ მუზეუმამდე მივყავართ. მონასტრის წინამძღვარი, მამა ნიკოლოზი ვარაუდობს, რომ წმინდა მამათა ხელნაწერები სწორედ დიდ ბრიტანეთში უნდა იყოს.

მესხეთს, რომელიც მე და ნინამ შემოვიარეთ, რთული ისტორია აქვს. რთული და ურთიერთსაპირისპიროა მისდამი დამოკიდებულებაც. ამიტომაც არის, რომ იქ უამრავი მითია გავრცელებული.

ზარზმის მამათა მონასტერი. ეკლესიის ინტერიერი

ერთ-ერთი მათგანი იმის შესახებაა, რომ აქ თურქები ცხოვრობდნენ, ისინი 1944 წელს გაასახლეს და სწორადაც მოიქცნენო. დეპორტაციის შემდეგ განვლილ თითქმის 70 წელიწადში საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ თავისი საქმე გააკეთა - მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ისინი "საქმისთვის" გადაასახლეს: რადგან თურქეთის საზღვარი აქვე, გვერდით იყო, თურქები ყველანაირად ვნებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ამ მხარის მცხოვრებთ დაუსახეს ამოცანა - თავი შეაკალით და არც ერთი მათგანი არ შემოუშვათ უკანო. და ასეც ხდება. ნებისმიერ უცხო ადამიანს, რომელიც ამ მხარეში გამოჩნდება, გაძლიერებული ყურადღებითა და ეჭვით ეკიდებიან. ეს კი სამწუხაროა, რადგანაც ფუჭდება ბუნებით მიმნდობი და გულღია ქართული ხასიათი.

სულ რაღაც ერთი დღის წინ ჩვენ მთელი სერიოზულობით გვიყვებოდნენ, როგორ გამოჩნდა აქ ომის დროს "ერთი გერმანელი ჯაშუში" და თურქებს ჰკითხა, სტალინის წინააღმდეგი ხართო? იმათ კი უპასუხეს კიო. მაშინო - გვითხრეს - ისინი ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით მოამარაგეს, ხოლო სტალინმა, როგორც კი ეს გაიგო, მათი 24 საათში გადასახლება ბრძანაო.

დიახ, სწორედ ასე იყო... ხომ წარმოგიდგენიათ? ომია, საზღვარი ასე ვთქვათ, ჩაკეტილია, გლეხების მთელი მამრობითი ნაწილი ომშია, ფაშისტებს ებრძვის. და უეცრად საიდანღაც ჩნდება ვიღაც "გერმანელი ჯაშუში" და ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს შორეულ მთიანეთში რაღაც სასწაულით ჩამოგდებული იარაღით სტალინის დასამხობად აგულიანებს.

როგორც ერთ თბილისურ ანეკდოტშია: "სად სახლი და სად მტკვარი?" სად მესხეთი და სად მოსკოვი სტალინით კრემლში?

პრიმიტიული მითია, მაგრამ მუშაობს. და უფრო დაწვრილებით: "როცა ჩვენ აქ ჩამოგვიყვანეს, მათ სახლებში ყველაფერი ხელუხლებელი იყო". "რა ყველაფერი?" - ვიკითხეთ ჩვენ, გვეგონა, რომ ლაპარაკი იყო პროდუქტებზე, საქონელსა და ნივთებზე, რომელთა თან წაღების უფლებაც ადამიანებს გასახლებისას არ მისცეს.

"ავტომატები, ტყვიამფრქვევები და ხელყუმბარები", - ავტორიტეტულად აცხადებდნენ ადამიანები, ამ მხარის ისტორიის მცველებად რომ მიაჩნდათ თავი.

და ამ მითზე გაიზარდა მთელი თაობა.

მართალია, მას ის ადამიანები გვიყვებოდნენ, რომლებიც ასევე ძალდატანებით ჩამოიყვანეს აქ - საქართველოს სხვა კუთხეებიდან - რაჭიდან, იმერეთიდან - გაუკაცრიელებული მიწების დასაცავად. "ნეტავ, ჩვენ ვინ გვეკითხებოდა!" - გულისტკივილით გვეუბნებოდნენ ისინი - "ჩვენი სახლები თვალწინ დაგვინგრიეს ბულდოზერებით, ჩვენ კი ძალით ჩამოგვიყვანეს აქ". ხალხთა ბელადის ხელში ადამიანები სსრკ-ში უბრალოდ პაიკები იყვნენ.

იმასთან დაკავშირებით, სპონტანური იყო თუ არა გასახლება 1944 წელს, მხოლოდ ერთ ფაქტს მოვუხმობთ: 1944 წლის ივლისში პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ.კირვალიძემ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში და სახალხო კომისართა საბჭოში მოხსენებითი ბარათი გაგზავნა. ამ დოკუმენტში მას მესხეთში მაჰმადიანი მესხების ქართული გვარებისა და ეროვნების დამახინჯების ფაქტები მოჰყავდა. კირვალიძემ პირადად დაიარა მესხეთის ყველა სოფელი და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ მაჰმადიანმა მესხებმა იცოდნენ თავიანთი ქართული გვარები, მაგრამ რატომღაც "აზერბაიჯანლებად" იყვნენ ჩაწერილები. რაიკომის მდივანმა მოხსენებით ბარათს ამ გვარების გრძელი სიაც კი დაურთო. ის თხოვდა მშობლიურ პარტიას "მიეღო სასწრაფო ზომები გვარებისა და ეროვნებების აღსადგენად". პასუხად კი რაიკომის მდივანმა საყვედური მიიღო - ეს შენი ჭკუის საქმე კი არ არის, არამედ "პარტიული ხაზია", იჯექი და ჩუმად იყავიო, და ისე შორს შეინახეს ეს მოხსენებითი ბარათი, რომ არქივებში ის მხოლოდ 1989 წელს აღმოაჩინეს. ამასობაში კი სრული სვლით მიმდინარეობს მზადება გასახლებისათვის. ბერიას და სტალინს მიმოწერა აქვთ, ამზადებენ რკინიგზის შემადგენლობებს, ხდება მარშრუტებისა და სპეცდასახლების ადგილების შერჩევა, გამოიყოფა "სახელმწიფო სახსრები გასახლების სპეცოპერაციისათვის". რაიკომის მდივნის მოხსენებითი ბარათის წარდგენიდან ოთხი თვის შემდეგ, უკვე

1944 წლის ნოემბერში მესხეთის 125 ათასი მაჰმადიანი, როგორც "თურქები"საქართველოდან შუა აზიაში გაასახლეს.

ისე რომ ყველაფერი დაგეგმილი იყო ისევე, როგორც სსრკ-ს 16 ეროვნების ხალხის ყველა დეპორტაცია. და ამის მიზეზი არამც და არამც არ ყოფილან "გერმანელი ჯაშუშები".

ეს კარგად არის ცნობილი მესხეთის იმ მკვიდრთათვის, რომლებიც 1944 წელს დეპორტაციას გადაურჩნენ. როგორც ხვდებით, ისინი მაჰმადიანები არ იყვნენ. "ისინი კათოლიკეები არიან!" - თვალებგაფართოებულნი გვეუბნებოდნენ მათ შესახებ აბასთუმანში. ნუთუ ეს დანაშაულია? მათთვის - თითქმის ასეა.

მართლაცდა, როგორც ერთი ნაცნობი მეცნიერი ამბობდა: "ჩვენ ყველანი ძალიან ცუდი ისტორიის შვილები ვართ…"მე კი ასე ვიტყოდი - უბრალოდ ისტორიის შვილები, რომელიც არც კარგია ხოლმე და არც ცუდი: ისტორია არის ის, რაც ხდებოდა.

თუმცა, მართლაცდა, მოდით, დავუბრუნდეთ ამ მხარის ისტორიას - საბჭოთა დრომდე. ზარზმის მონასტრის ოფიციალური საიტი მოგვითხრობს:

"სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს, ჯავახეთის, ტაო-კლარჯეთი-შავშეთის) მონასტრები წარსულში ქართული წიგნიერების მძლავრი კერები იყო. საუკუნეების მანძილზე აქ იღვწოდნენ ცნობილი ქართველი ღვთისმეტყველი მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები. ამავე დროს ეს მხარე ძალიან დაზარალდა უცხოელი დამპყრობლებისგან. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ის მთლიანად იქნა მოწყვეტილი საერთო ქართულ ორგანიზმს და ძალადატანებით ისლამიზაციას დაექვემდებარა. არსებობა შეწყვიტა თითქმის ყველა ეპარქიამ. მოძღვრის მზრუნველობას მოკლებულ მხარეში კათოლიკე მისიონერებმა დაიწყეს ქადაგება. რელიგიურ აღრევას ეთნიკური აღრევა მოჰყვა. სარწმუნოების შეცვლამ გამოიწვია მოსახლეობის "თათრებად" (გამაჰმადიანებულ ქართველებად) და "ფრანგებად" (გაკათოლიკებულ ქართველებად) დაყოფა".



აი, იმის ახსნაც, თუ საიდან გაჩნდნენ მესხეთში კათოლიკეებიც და მაჰმადიანებიც. ამის დასტური ვახუშტი ბატონიშვილთანაც არის, რომელიც 1745 წელს ასე აღწერდა მესხებს:

"...ხოლო კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა… ქართულისა სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან…"

თავის "მგზავრის ჩანაწერებში" (კავკასია, ფოცხოვის მონაკვეთი) 1891 წ. გრაფინია უვაროვა პირდაპირ წერს:

"...მთელი ამ მხარის (საერთო სახელი სამცხე) მცხოვრებნი ამჟამად ისლამს აღიარებენ და მათ ხშირად თურქებად თვლიან, რაც სრულიად მცდარია, რამეთუ ეს წმინდა ქართული ტომია, რომელიც დიდხანს რჩებოდა თურქეთის მფლობელობაში და მაჰმადიანობა მხოლოდ 1626 წლიდან მიიღო".

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ თავის მემუარებში ნესტეროვიც ისე მოიხსენიებს ზარზმას, როგორც "თათრულ სოფელს". ის, ისევე, როგორც სამცხე-ჯავახეთის ბევრი სხვა სოფელი, ძალდატანებით იქნა გამაჰმადიანებული.

თუმცა დავუბრუნდეთ ნესტეროვის მოგზაურობას. მაშ ასე, ის და გიორგი მიხეილის ძე - ტახტის მემკვიდრის ბიძა - ზარზმის სანახავად მიდიან: "გზად დიდებული ხედები ენაცვლებოდა ერთმანეთს. მთავარი, რომელიც აქაურობას იცნობდა, მიხსნიდა მათ ისტორიას, ყოფას და სხვა. ორიოდე საათის შემდეგ შორს, მაღალ კლდეზე გამოჩნდა დიდებული ზარზმის ტაძარი. ის თათრული სოფლის თუ აულის შუაგულში იყო აღმართული". მთავარს თურმე თან წამოეღო ფოტოაპარატი (იმხანად გაუგონარი რამ), და მან მოისურვა გადაეღო ტაძარი, აგრეთვე გადავეღე მეც ქართული სიძველის ამ საოცარი ძეგლის ფონზე". (საინტერესო იქნებოდა ამ სურათების ნახვა დღეს). ხოლო "მალე ჩვენი გამყოლის თანხლებით გამოცხადდნენ აულის მცხოვრებნი, მათ მუხლმოდრეკით და განსაკუთრებული მუსლიმანური ნიშნებით გამოხატეს მაღალი სტუმრის პატივისცემა, გააღეს ტაძარი".

ისტორიულად ყველაფერი ემთხვევა - ზარზმა მართლმადიდებლური მონასტერია (იმხანად,1899 წელს, უმოქმედო და ნახევრადდანგრეული), ხოლო მაცხოვრებლები - "თათრები" (გამაჰმადიანებული ქართველები).

ნესტეროვი აღტაცებულია: "თვალწინ წარმოგვიდგა არა მხოლოდ არქიტექტურული სასწაული, არამედ ფერწერულიც. ტაძარი მთლიანად ფრესკებით იყო დაფარული. ისინი ბრწყინავდნენ, ფერად-ფერადი, ხან ლურჯი, ხან ვარდისფერი, ხანაც ქარვისფერი ქვებით კიაფობდნენ…" თუმცა იქვე წუხილს გამოთქვამს: "გუმბათი ჩამოქცეულია და ტაძრის შუაგული თოვლით იყო დაფარული. ყურადღებით რომ დავაკვირდით, შევამჩნიეთ, რომ ფრესკების ნაწილიც უკვე დაღუპული იყო. დაიღუპა საოცარი სილამაზე… გარდასული დიდების ნაშთები რომ დავიარეთ, ჰაერზე გამოვედით და ტაძარს გარს შემოვუარეთ. ახლა ის თავისი მუქი წითელი, შემხმარი სისხლისფერი სილუეტით მკაფიოდ იკვეთებოდა თოვლის საბურველით დაფარული გარემომიმდებარე, მთების ფონზე. ტაძარი ისეთი ეული, დავიწყებული მიტოვებული, ყველასათვის უმაქნისი იყო… საღამოს პირს აბასთუმანში ვიყავით. სადილობისას ზარზმა საუბრების მთავარი თემა იყო".

წარმომიდგენია ეს ტრაპეზი სასახლეში - სადილი წარჩინებულ პირებთან ერთად. სუფრა საქსონური ფაიფურითა და დიატკოვისეული ბროლით ელვარებს, მსახურნი რჩეულ კერძებს ჩამოატარებენ. ისმის ბოკალებისა და ვერცხლის ჭურჭლის წკრიალი. თუმცა მთავარი საჭმელ-სასმელი არაა. მთავარი თემა ზარზმაა. რუსი მხატვარი გაოცებულია ძველი ქართული ხელოვნების შედევრებით. შესაძლოა, ის ხელებს იქნევს აღელვებისგან და უნებლიედ ვერცხლის ჩანგალი პარკეტზე ეცემა… სტუმრის სიტყვები მოწიწებული, თუმცა კი ცხარეა. ნესტეროვი ცდილობს ტახტის მემკვიდრე ნანახის მხატვრულ ფასეულობაში დაარწმუნოს: "თქვენო აღმატებუ-ლებავ! ტაძარი აუცილებლად უნდა გადაურჩეს დანგრევას. საბოლოოდ რომ არ დაიღუპოს, აუცილებელია ამ არქიტექტურული სასწაულის რესტავრირება".

წარმომიდგენია გიორგი ალექსანდრეს ძის ლამაზი, ჯიშიანი სახეც მკრთალ ბაგეებზე გამომკრთალი ღიმილით პეტერბურგელი მხატვრის აღელვებული მონოლოგის პასუხად. ტახტის მემკვიდრე თითქმის არაფერს მიირთმევს, პურს

X საუკუნის ეკლესიის ნანგრევები

თუ მოიცქნის და თოვლივით ქათქათა ხელსაწმენდს შეეხება. ის, როგორც გულითადი მასპინძელი და ზრდილობიანი ადამიანი, უხმოდ უსმენს სტუმარს. თუმცა ვითომ საჭიროა რუსეთის ტახტის მემკვიდრის დარწმუნება ზარზმის ტაძრის სილამაზეში? მან ხომ დიდი ხანია იხილა და შეიყვარა იგი. და განა ახალი ტაძარი, რომელიც მან აბასთუმანში ააგო, და რომელიც ნესტეროვმა უნდა მოხატოს, ზარზმის ასლი არ არის?

და მაინც - ნესტეროვის მგზნებარე რწმენა ზარზმის ტაძრის აღდგენის აუცილებლობაში ტახტის მემკვიდრესაც გადაეცემა, და თავის ანდერძში გიორგი ალექსანდრეს ძე მის სარესტავრაციოდ ფულს გამოჰყოფს. ნესტეროვი მოკრძალებით წერს თავის მოგონებებში: "ის განხორციელდა კიდეც მემკვიდრის სახსრებით უკვე მისი აღსრულების შემდგომ".

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, დღეს მუხლმოყრით ვუხდით მადლობას მიხეილ ნესტეროვს ამისათვის.

ასე რომ არა, არ გვექნებოდა ისეთი სასწაულის ხილვის ბედნიერება, როგორიც ზარზმის მონასტერია.

ზარზმა მე სხვა თვალსაზრისითაც მაინტერესებს. 1990-იან წლებში დეპორტირებული მესხების გვარების შესწავლით ვიყავი დაკავებული. მაჰმადიანებით დასახლებული მესხეთის ასოთხმოცივე სოფლის მეფისდროინდელი აღწერების საარქივო მასალებს რომ ვიკვლევდი, ვნახე, რომ XIX საუკუნეში აქ ათასზე მეტი ქართული გვარი მკვიდრობდა. შემდგომში ამ ნაშრომმა ბროშურის სახით იხილა დღის სინათლე და უმალ გავრცელდა. გადასახლებაში მესხებს ხშირად ართმევდნენ ქართულ გვარებს და საკუთარი ფესვების ძიებაში ბევრი მათგანი საქართველოში ჩამოდიოდა. ერთხელ წარმოშობით ზარზმელმა მომაკითხა. ხანდაზმული მამაკაცი ირწმუნებოდა, ქართული გვარი გვქონდა, მაგრამ გადასახლებაში ძალით ჩაგვწერეს დურსუნოვებად და ამრიგად ნამდვილი გვარი დავკარგეთო.

ზარზმიდან რომ ასახლებდნენ, ის მხოლოდ 10 წლისა ყოფილა, მას ახსოვს, რომ ერთმანეთში მათ მოდგმას "მანი"-ს ეძახდნენ. მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა? ის მხრებს იჩეჩავს.

ძნელი ამოცანა იყო, არანაირი ხელის მოსაჭიდი რამ არ არსებობდა - რა ერქვა პაპას, დიდ პაპას... ვინ უნდა გვეძებნა აღწერებში? ვინმე "მანი?" იქ ასეთის სახსენებელიც კი არ იყო.

იქნებ, ოჯახში შემონახული რაიმე გადმოცემა ახსოვდა? "როგორ არა! - გამოცოცხლდა დურსუნოვი, - რა თქმა უნდა, მახსოვს!" და საზეიმოდ წარმოთქვამს: "ჩვენს წინაპრებს მისია ჰქონდათ". "მაინც რა მისია?" ირონიულად ჩავეკითხე მე. "მარტო ჩვენს გვარს ჰქონდა ზარზმის მონასტრის დაცვისა და მოვლის განსაკუთრებული უფლება".

"- ეს როგორ? - დავეჭვდი მე. - მაჰმადიანები ქრისტიანულ ტაძარს იცავდნენ?" "დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ. ეს იმ დროიდან მოდიოდა, როდესაც ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ. ჩვენ ხომ მხოლოდ XVI საუკუნეში მივიღეთ მაჰმადიანობა. მონასტრის გასაღები კი ყოველთვის ჩვენთან ინახებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ჩვენი ოჯახი ყოველდღე ალაგებდა და ასუფთავებდა ეზოს, ეკლესიას, სამრეკლოს. მე დღემდე მახსოვს ეს გასაღები - ისეთი მძიმე იყო... მე, ბავშვს, ზოგჯერ მანდობდნენ ხოლმე მის ხელში დაჭერას". მან ამოიოხრა და დასძინა: "ხოლო 44 წელს რომ გვასახლებდნენ, პაპაჩემმა აიღო ეს გასაღები და თვალცრემლიანმა სოფლის საბჭოში წაიღო. ჩვენი გვარი რამდენიმე საუკუნის მანძილზე უვლიდა მონასტერს, ახლა კი გვასახლებენ და ჩვენს მისიას ვეღარ შევასრულებთ. ამიტომ მე ამ გასაღებს საბჭოთა ხელისუფლებას ვაბარებო. და კიდევ ითხოვა, ხელწერილი მომეცითო. სოფლის საბჭოში ვერაფერი გაიგეს - რა მისია, რა გასაღებიო? პაპას გასაღები გამოართვეს და უთხრეს - წადი-წადი, რა ხელწერილი გინდაო..."

საოცარი ისტორია იყო.

თუმცა კი მისი რეალობა ბოლომდე არ დამეჯერებინა, მაინც შევუდექი კვლევა-ძიებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზარზმაში თავისი ყოფნის შესახებ (1899 წ.) ნესტეროვი საკუთარ მოგონებებში წერს, რომ აულის მცხოვრებნი, რომლებმაც ტაძარი გაუღეს, მაჰმადიანები იყვნენ. მაშასადამე, ეს

გასაღები მართლაც ინახებოდა რომელიღაც მათგანთან. მაგრამ საკითხავია - ვისთან?

ძიებამ კვლავ გრაფინია უვაროვას 1891 წლის "საგზაო ჩანაწერებთან" მიგვიყვანა. ზარზმის შესახებ რომ ყვება, ქალბატონი უვაროვა აღნიშნავს: "ეკლესია დაცული და მოვლილია ამჟამად ადგილობრივი მაცხოვრებლის, თათარი ოსმან იბრაგიმოვის მიერ". მაშ ასე - ადამიანი ნაპოვნია! ვაგრძელებთ ძიებას.

"ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის 1873 წლის კამერალური სიები" იუწყება, რომ სოფელ ზარზმაში 2 ნომრით ირიცხება ვინმე ოსმან იბრაგიმ ოღლი, 45 წლისა. ის არის! კიდევ ერთი დასტური! მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ოსმანი, თურმე "მეტყევე და ზარზმის მონასტრის დარაჯია". პაზლი თითქოს აეწყო. მაგრამ ყველაზე საინტერესო რამ "1886 წლის მოსახლეობის აღწერებში" მელოდა. ჯერ-ერთი მისი წყალობით გამოირკვა, რომ სოფელ ზარზმაში "მუსლიმი ქართველები" ცხოვრობდნენ და არა "თათრები" და ზარზმის ყველა მაცხოვრებელს ქართული გვარი ჰქონდა! ე.ი. ის ჩვენს მცველსაც უნდა ჰქონდეს.

სიებში უკვე ნაცნობი ოსმან იბრაგიმოვის ძებნა დავიწყე. და ვიპოვე! აღწერაში 4 ნომრით 58 წლის ოსმან იბრაგიმ ოღლი იყო. ასაკიც დასტურდება: 13 წლის წინათ 1873 წლის აღწერით ის 45 წლის იყო, ზუსტად 13 წლით ნაკლების. და რაც მთავარია: მას წარჩინებული ქართული გვარი ჰქონდა - თურმანიძე! აი, ასე კეთილად მთავრდება ხოლმე ზოგჯერ მეცნიერული ძიება. საოცარი სიხარული განვიცადე... იმის გამო, რომ ყველაფერი დაემთხვა და ისტორია სრულიად უტყუარი აღმოჩნდა.

თუმცა გვარის მეტსახელი - "მანი" მაცბუნებდა. მაგრამ რომ დავფიქრდი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს უფრო მათი დაკარგული გვარის - თურმანიძის ნაწილი იყო; ის, რაც თაობათა მეხსიერებას შემორჩა.

ამრიგად, შეგვიძლია უკვე დოკუმენტურად ვამტკიცოთ: მართლაც, ზარზმის მონასტრის დარაჯი საუკუნეების მანძილზე მესხ თურმანიძეთა ქართული დინასტია იყო. სამწუხაროა, რა თქმა უნდა, რომ დღეს ის მთელ მსოფლიოშია გაფანტული და ვეღარ ასრულებს თავის მაღალ მისიას - ვეღარ იცავს ღვთის ტაძარს.

ასე და ამრიგად, ჩვენ ზარზმაში მივეშურებით და როგორც ბედნიერების აღთქმა, შორეულ ნისლში ტაძრის მოხაზულობა გამოკრთა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ტაძარს, მით უფრო მეტად ვღელავდით.

ის იყო, ჩავაღწიეთ და მონასტრის მოვლილ ეზოში შევაბიჯეთ, რომ უმალ ტანმაღალი ახალგაზრდა ბერის ხელში აღმოვჩნდით. ის მომცინარი თვალებით გვიმზერდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მას შიგნით მხიარული სანთელი ენთო. ერთი წუთის შემდეგ ის უზადო რუსულით გვიყვებოდა მონასტრის ისტორიას. ამასობაში ერთ-ერთმა ბერმა დაუძახა, ის შებრუნდა და ქართულად უპასუხა, რამდენიმე დავალება მისცა მეურნეობასთან დაკავშირებით.

საოცარი კონტრასტი იყო. "მაშ თქვენ ქართველი ხართ, თუ რუსი?", - გაუბედავად ვკითხე მე, რადგან არ ვიცოდი, რა კითხვა დამესვა ბერისათვის. მან გაიღიმა: "მამით რუსი ვარ, დედა კი ქართველია. ერისკაცობაში ვლადიმერ სმირნოვი მერქვა (მგონი, ასე). ახლა კი მამა სპირიდონი ვარ". და გაიცინა. ხვეული წვერიდან თოვლივით თეთრი კბილები გამოაჩინა. "ჩვენ მონასტერში ვცხოვრობთ, კი არ ვმუშაობთ, - უკვე სერიოზულად, თუმცა კი ასევე კეთილმოსურნე ღიმილით მიპასუხა მამა სერაპიონმა. - მონასტერი ჩვენი სახლია. და ბერის ცხოვრება ლოცვა, შრომა და მორჩილებაა. მუშაობით კი მე ჩემი ნებით სოფლის სკოლაში ვმუშაობ: ბავშვებს რუსულ ენას ვასწავლი. ჩვენი ძმები ბავშვებს სკოლაში მათემატიკას, ინფორმატიკასა და ინგლისურს ასწავლიან".

აი, ასეთი განვითარებულები არიან ჩვენი ბერები.

სიძველის სული ძველებურადვე დასტრიალებდა ზარზმას. "პირველი ეკლესია მონასტერში მეცხრე ასწლეულში აიგო, ეს მისი ნანგრევებია. - მამა სპირიდონმა სიყვარულით გადაუსვა ხელი ხორკლიან ქვებს მწვანე მდელოს ცენტრში. - ეს ქვის ჯვარი კი აქ მეთერთმეტე საუკუნიდან დგას".

მან გვიამბო სერაპიონ ზარზმელის შესახებ (რომელმაც მზე გააჩერა), ყურადღება მიგვაქცევინა რესტავრაციის დროს აღმოჩენილ X საუკუნის ხატზე. XIV საუკუნის ფრესკებს შორის, რომლებიც იატაკიდან ჭერამდე ფარავდნენ ეკლესიის კედლებს, სამცხის მთავრების, ჯაყელების გამოსახულებები ვიხილეთ. პატარა გამოქვაბულში დაცულია იმ ბერების ძვლები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და დაიმარხნენ. მამა სპირიდონმა გვაჩვენა მონასტრისათვის გადმოცემული ძველი ბერის უხრწნელი სხეული, რომელიც აწყურში იქნა მიკვლეული. მრევლი, რომელსაც ის სასწაულმოქმედად მიაჩნია, მის თაყვანის საცემად მოდის აქ. მერე ჩვენ საოქრომჭედლო სახელოსნოში გადავინაცვლეთ და მამების მიერ შექმნილი ტიხრული მინანქრის დიდებული ნაკეთობები ვიხილეთ.

მამა სპირიდონი, ნინა, ილიკო და კლარა XI საუკუნის ჯვრის ახლოს

მონასტერში საკუთარი მირონის დამზადებასაც დაგვასწრეს. ყველაფერთან ერთად შრომისმოყვარე ბერებს მოჰყავთ კარტოფილი, ბოსტნეული, ისინი პურსაც აცხობენ და ფუტკარსაც უვლიან.

ამ დროს პატარა ილიკომ სახელოზე მომქაჩა და ჩურჩულით მთხოვა ტუალეტში წაყვანა. ხელი მოვკიდე და მონასტრის ეზოში გავედი, სადაც ფუტკრების ბზუილი იდგა. "ნუ გეშინიათ, არ გიკბენენ", - მოკრძალებული ღიმილით გვითხრა ახალგაზრდა ბერმა და გზა გვიჩვენა. ეზოში საქმიანი იერით მიდი-მოდიოდნენ შავანაფორიანი ძმები. ისინი რაღაცნაირად ახერხებდნენ, რომ თავის აუწევლად დაენახათ ყველაფერი, შორსაც კი. ყველას წმინდანის სახე ჰქონდა. მონასტრის საპირფარეშომ თავისი სისუფთავით ჟენევური ოტელი გამახსენა.

ეზოში, მოჩუქურთმებული ქვის თაღედის ქვეშ პატარა მაგიდებს ახალგაზრდა საკანონო მორჩილების ერთგული ბერები უსხდნენ. ერთერთი მათგანი - რომაული პროფილითა და ხუჭუჭი წითური წვერით - პატარ-პატარა გამოჭრილ ხატებს რიყის ქვებზე აწებებდა. მერე ფუნჯით გულმოდგინედ გამოჭყავდა ნახჭები, შავი ლაქით ფარავდა და მზა სუვენირებს ქვის შვერილზე აწყობდა გასაშრობად.

მეორე ბერი, რომელსაც შავი ქუდი ხშირ წარბებამდე ჩამოფხატოდა, იღიმებოდა და თვალებაუწევლად ასხავდა ცვილის გარსს ხამ ძაფზე. ერთხელ დაატრიალა და ცვილის სანთელიც მზადაა. გვერდით მზა სანთლების ბორცვი იდგა.

მალე ბუხრიან დიდ ოთახში მიგვიწვიეს, სადაც მამა მაქსიმე მონასტრის წინამძღვარს, მამა ნიკოლოზს ესაუბრებოდა, რომელსაც ახალგაზრდა პროფესორის ფიქრიანი სახე ჰქონდა. ცხადია, მამათა მონასტრების ორ მოძღვარს სალაპარაკო ექნებოდა: ისინი ერთად ასწავლიდნენ საფარის მონასტერთან არსებულ ახალციხის გრიგოლ ხანძთელის სახელობის სემინარიაში. დავინახეთ, როგორ უხალისოდ შეწყვიტეს წმინდა მამებმა ლაპარაკი და სტუმართმოყვარე მასპინძლების ტონზე აეწყვნენ. ბუხრის წინ მდგარ პატარა მაგიდას წამში გადააფარეს თეთრი ქათქათა სუფრა და მყისიერად გაჩნდა ახალგამომცხვარი ფუმფულა პური, ქარვისფერი თაფლი ღრმა ჯამებით, წყაროს წყლით მოდუღებული სურნელოვანი ჩაი, ასეთ საჭმელ-სასმელზე უარს როგორ ვიტყოდით და ჩვენ უბრალოდ გამალებით შევუდექით ჭამა-სმას. საუბარი აეწყო, სულ სხვადასხვა თემებზე ვლაპარაკობდით. ძმები საკმაოდ მოშორებით ისხდნენ და უჩუმრად უსმენდნენ ჩვენს ლაპარაკს.

ბოლოს მე გავბედე და ვთხოვე ძმებს ემღერათ ჩვენთვის. მახსოვს, წინაზე რომ ჩამოვედით, მათი ცნობილი მრავალხმიანი სიმღერა ვერ მოვისმინეთ - ასე გვითხრეს, ჩვენი ანსამბლის მეორე ხმა ახალციხეშია წასული სანოვაგისთვისო. ახლა როგორღაა საქმე? ბერებმა გაიცინეს, არა, არა, მამა ანდრია აქ არისო. ძმებს უხმეს და ისინი მზადყოფნით შემოვიდნენ ჩვენთან ერთად სანთლების მოციმციმე შუქით განათებულ ნახევრადბნელ ეკლესიაში. ფეხი შეინაცვლეს, საჭირო აკუსტიკური წერტილის მოსაძებნად ჭერს ახედეს და სიმღერა დაიწყეს…

როგორც კი ეკლესიის თაღებქვეშ მათი ძლიერი, დახვეწილი ხმები გაისმა, უმალ ჟრუანტელმა დამიარა, თვალებზე ცრემლები მომადგა. მას შემდეგ, რაც ბოლო ნოტი გახმიანდა, გავიგეთ, რომ ეს სიმღერა საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს დაუწერია.

ტაძრიდან გამოსულები ცრემლებს ვიწმენდდით, მამა მაქსიმემ კი ღიმილით გვითხრა: ვხედავ, ვხედავ, მაშასადამე, მოგეწონათ…

ბინდდებოდა. წამოსვლის დრო იყო, მაგრამ ჩვენ ვდებდით და ვდებდით ამ მომენტს. გალავანს მივუახლოვდით და კიდევ ერთხელ დავტკბით ხეობით, რომელიც შორეთისკენ გვიხმობდა და რომელშიც ვერცხლის ძაფად მიიკლაკნებოდა მდინარე ქვაბლიანი. ირგვლივ სიჩუმე და აბსოლუტური სიმშვიდე სუფევდა.

მამებისგან უამრავი საჩუქარი მივიღეთ: პატარ-პატარა ხატები, დისკები გალობებით, კალენდრები და სხვადასხვა ხელნაკეთობები.

ძმებმა მანქანამდე მიგვაცილეს, გულთბილად დაგვემშვიდობნენ, დიდხანს გვიქნევდნენ ხელს. “ოპელი” აუჩქარებლად დაიძრა. ჩვენ ვდუმდით. სევდა მოგვერია, თუმცა სიხარულითაც ვიყავით აღსავსენი - თითქოს რაღაც უზენაესსა და ნათელს შევეხეთო.

კლარა **ბარათაშვილი**